

ბელა ნიფურია
(საქართველო)

კონსტანტინე ბრეგაძის „მოდერნი და მოდერნიზმი“

ევროპული მოდერნისტული კულტურისა და ქართული მოდერნიზმის მემკვიდრეობის ხელახლა ათვისება, მისი შინაარსისა და მნიშვნელობის სრულად გაცნობიერება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანას ქართველი მკვლევარები ბოლო ხანს თანმიმდევრულად ახორციელებენ. ამავე დროს, რაც უფრო ინტენსიური ხდება კვლევის პროცესი, მით უფრო ნათლად ჩანს, თუ რამდენად დიდია ქართული მოდერნიზმის რესურსი, რამდენად მრავალმხრივი შეიძლება იყოს ქართული მასალის შედარებითი კვლევა ევროპულ მოდერნიზმთან მიმართებით, და, ამას გარდა, რამდენად საჭიროა ქართულ გარემოში უშუალოდ ევროპული ტექსტების ანალიზი.

სწორედ ამ ნიშნით, კონსტანტინე ბრეგაძის წიგნი „მოდერნი და მოდერნიზმი“ (თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018) განსაკუთრებით საყურადღებო ნაშრომია. წიგნში განხილულია: მოდერნიზმის თეორიული პრობლემები (ისტორიული მოდერნი და ლიტერატურული მოდერნიზმი); რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ევროპული ტექსტი მოდერნიზმისა და მოდერნულობის პრობლემებთან მიმართებით (მოდერნული მგრძობელობა გოეთეს „ფაუსტში“, შექსპირის „ჰამლეტის“ დეკონსტრუქცია არნო ჰოლცთან, ფრანც კაფკას „განაჩენი“); და, რაც მთავარია, ქართული მოდერნიზმის არაერთი პრინციპული საკითხი (ქართული მოდერნიზმი როგორც ოქციდენტრიზმი, ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ მოდერნიზმში, ქართული მოდერნისტული ლიტერატურის ევროპული და ნაციონალური კონტექსტი); ქართული მოდერნიზმის პოეტური მემკვიდრეობა (გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“, კონსტანტინე გამსახურდიას ურბანისტული ლირიკა).

კონსტანტინე ბრეგაძე, როგორც გერმანისტი, მოდერნიზმს (ევროპულსაც და ქართულსაც) უმეტესად გერმანული მოდერნიზმის პერსპექტივიდან განიხილავს: ცხადია, გერმანულ ფილოსოფია, შოპენჰაუერიდან ნიცშემდეგ, მართლაც მოიცავს მოდერნიზმის წანამძღვრებსაც და უშუალოდ მოდერნისტულ, ფუნდამენტურ ტექსტებსაც; ქართულ მოდერნიზმის ისეთი მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედებაშიც, როგორც კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძეა, მოდერნიზმი სწორედ გერმანული არხით შემოდის. ნიშანდობლივია, რომ უშუალოდ ამ თემაზე კონსტანტინე ბრეგაძეს უკვე გამოცემული აქვს მნიშვნელოვანი წიგნი (იხ. კ. ბრეგაძე, „ქართული მოდერნიზმი (კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, გ. ტაბიძე)“, თბილისი: მერიდიანი, 2012).

ამჯერადაც, მის წიგნში „მოდერნი და მოდერნიზმი“, ანალიტიკური ბაზისის სახით ფიგურირებს: გერმანული ფილოსოფია; გერმანული რომანტიზმი როგორც მოდერნისტული პოეზიის წინამორბედი; ბერლინი როგორც მოდერნიზმის კულტურული ცენტრი; გერმანული მოდერნისტული ტექსტები. მართალია, ინერება და კვლავ დაინერება ნაშრომები რომლებშიც მოდერნიზმის სამყარო, უწინარესად, რომანული ან ინგლისური კულტურული პერსპექტივიდან არის დანახული და სადაც კულტურული ცენტრი, რაღა თქმა უნდა, პარიზია, მაგრამ საგულისხმო სწორედ ის არის, რომ განსხვავებული ლინგვოკულტურული პრიზმიდან დანახული ტექსტები და კულტურული პროცესები, მათ შორის ქართული მოდერნიზმი, საბოლოოდ ერთიან და თანხვედნილ სურათს ქმნის და ეს ხედვები, სხვადასხვა მკვლევართა ინტერპრეტაციით, არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს ერთმანეთს. ყოველი ცალკეული ტექსტის შემთხვევაშიც, ის ინტერპრეტაციული პოზიცია, რასაც კონსტანტინე ბრეგაძე გვთავაზობს, ყოველთვის გულისხმობს თანხვედრისა და დიალოგის შესაძლებლობას, და ქმნის თანხმობის თუ შეთანხმების სიტუაციას. ამგვარი კულტურული ღიაობა შეიძლება სრულიად ბუნებრივ მოვლენად ჩანდეს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში, მაგრამ, დიდი ხნის მანძილზე, სრულიადაც არ იყო ამდენად ბუნებრივი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობისთვის. შესაბამისად, ისეთი წიგნები, როგორც „მოდერნი და მოდერნიზმი“, ქართულ გარემოში აღადგენს არა მხოლოდ დასავლურ კულტურულ კონტექსტთან ინტელექტუალურ კავშირს, არამედ ამ კონტექსტში მიღწეული აკადემიური თავისუფლების და აზრთა გაზიარების სულისკვეთებასაც.

ქართული მოდერნიზმის კულტურული მნიშვნელობის ხელახალი გათავისება იმ ერთგვარი ნიჰილიზმის დაძლევისასაც გულისხმობს, რომლის თანახმადაც საქართველოში მოდერნიზმი მხოლოდ ეპიგონური ან ფრაგმენტული მოვლენა იყო. თუკი დღეს კვლავ ვხდებით ამგვარ შეხედულებას, ეს უშუალო შედეგი შეიძლება იყოს საბჭოური კულტურული პოლიტიკისა, რომელიც ამკვიდრებდა აზრს, რომ მოდერნისტული ტენდენციების ფარგლებში არც შექმნილა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები და ქართველმა მწერლებმა ნამდვილ შემოქმედებით სიმაღლეს მხოლოდ მას შემდეგ მიაღწიეს, რაც მოიხადეს ამა თუ იმ მოდერნისტული მიმდინარეობის „საყმანვილო სენი“. ქართული მოდერნიზმის მემკვიდრეობის სათანადოდ შეფასება, რაც არ უნდა ანაქრონულად ჟღერდეს ეს, დღეს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის აქტუალური ამოცანაა. საბჭოური იდეოლოგიზირებული კრიტიკის მიერ ამ კულტურული მემკვიდრეობა დამცირებამ, კულტურული მეხსიერებიდან მისი ნაშლის მცდელობამ, თვით საბჭოთა პერიოდში, რეალურად ვერ განყვიტა ქართველ მკითხველთა ემოციური კონტაქტი ამ ტექსტებთან და ავტორებთან; თუმცა ნამდვილად განყვიტა ინტელექტუალური კავშირი და ანალიტიკური პრაქტიკა. წიგნში „მოდერნი და მოდერნიზმი“ კონსტანტინე ბრეგაძე იშვიათად ეხება ქართულ მოდერნიზმზე საბჭოური იდეოლოგიური აგრესიის გამოცდილებას, რომელიც მისთვის, როგორც ჩანს, დაძლეულია.

ის, უწინარესად, ესთეტიკური თანასწორობის პოზიციიდან უდგება დასავლურ და ქართულ საკვლევ მასალას და მისი დამოკიდებულება ქართულ მოდერნისტულ ტექსტებთან წმინდად ინტელექტუალურია, ის იკვლევს ტექსტებს იმ თეორიული ინსტრუმენტებით, რომლითაც, ზოგადად, მიმდინარეობს ევროპული მოდერნიზმის კვლევა. კვლევისას, ამ ტექსტებთან მიმართებითაც იკვეთება სურათი, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპული მოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი ტექსტების კვლევის შედეგად (მათ შორის, ამ წიგნის ფარგლებში) მიღებულ სურათს. ნათელი ხდება, რომ ქართული მოდერნისტული ტექსტები მოდერნიზმის მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პრობლემათა აღქმას და რეპრეზენტაციას სიღრმისეულად ახდენენ. ისინი ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში ეპასუხებიან, ასახვენ იმ სულიერ და გამომსახველობით ძიებებს, რაც მოდერნიზმმა მთელი ევროპის და მსოფლიოს მასშტაბით გაააქტიურა. ამავე დროს, წიგნში ეს ჩანს არა მხოლოდ ქართული მოდერნიზმის ცენტრალური მოვლენის, გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილების“ მოდერნული მგრძნობელობის კვლევისას, არამედ, თუნდაც, კონსტანტინე გამსახურდიას ურბანისტული ლირიკის ანალიზისას, იმ ტექსტების მაგალითზე, რომლებიც თავად ამ ავტორის შემოქმედებაშიც არ ცხადდება ცენტრალურად. შესაბამისად, როგორც კონსტანტინე ბრეგაძე მიიჩნევს, „ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორიგინალური და უნიკალური შემადგენელი ნაწილია, რამდენადაც იგი ახერხებს ანთროპოლოგიური, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური პრობლემატიკის ძირეულ გააზრებას საკუთარი ორიგინალური მხატვრული რიტორიკისა და ორიგინალური მხატვრულ-სახისმეტყველებითი პარადიგმების მოხმობით“ (გვ. 150).

ქართული მოდერნიზმის ევროპული ორიენტაცია, მისი ოქციდოცენტრიზმი ერთ-ერთი პრინციპული საკითხია, რომელსაც, თითქოსდა, თავის-თავად გულისხმობდა ქართველ მოდერნისტთა თაობის კულტურული არჩევანი. თუმცა საქართველოსთვის ეს არჩევანი ახლაც, საუკუნის შემდეგაც, საჭიროებს დემონსტრირებას და დეკლარირებას. ცისფერყანწელებმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონ ტაბიძემ, მოდერნისტების მთელმა თაობამ ქართულ კულტურაში მოახდინეს ევროპული კულტურული ორიენტაციის, როგორც კულტურული და ნაციონალური განვითარების პერსპექტივის თანმიმდევრული დეკლარირება. მართალია, თანადროულ ევროპულ კულტურასთან დაკავშირების ამოცანა ქართულ ლიტერატურაში შემოდის რომანტიკოსთა თაობიდანვე, და გამოკვეთილ სახეს იღებს სამოციანელთა თაობაში, მაგრამ სწორედ მოდერნისტთა თაობამ დაუკავშირა მას „ქართული რენესანსის“ კონცეფცია და აქცია ეს შემოქმედებით მიზნად. თუკი ილია ჭავჭავაძისთვის, უწინარესად, ევროპული სოციალური განვითარების მოდელის ათვისებაა საქართველოს ერ-სახელმწიფოდ ფორმირების წინაპირობა, ქართველი მოდერნისტებისთვის ამგვარ წინაპირობად ცალსახად ცხადდება ევროპული კულტურის ათვისების გზით ესთეტიკური

„ხელახლა დაბადება“. 1910-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს განცხადებები მიმართულებას აძლევს ქართული ნაციონალური მიზნების რეალიზაციის ამბიციასაც. მაშინ როცა, სულ რამდენიმე წელიწადში, მოდერნისტთა თაობის ორიენტირი ძალადობრივად იქნება შეცვლილი საბჭოთა რეჟიმის მიერ, ჩვენთვის ცხადია, რომ ეს მიზანი მაინც მუშაობს, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე, ქართულ კოლექტიურ ესთეტიკურ მემკვიდრეობაში. დღესდღეობით კი ქართული მოდერნიზმის მემკვიდრეობისადმი ანალიტიკური პოზიციის გაძლიერება, კვლევა, მოდერნისტულ ტექსტთა სათქმელისა და სულისკვეთების გაცნობიერება კი ერთ-ერთი გზაა თანამედროვე ქვეყნის რეალური ესთეტიკური და სოციალური პოტენციალის რეციონალიზაციისა და, შესაბამისად, რეალიზაციისა. ამ მიზანს ემსახურება კონსტანტინე ბრეგაძის ახლადგამოცემული წიგნი.

Bela Tsipuria
(Georgia)

Konstantin Bregadze’s “Modernity and Modernism”

Summary of the review

Key words: Konstantin Bregadze, Georgian Modernism, Modernity.

Konstantin Bregadze in his new book *Modernity and Modernism* (Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2018) continues pursuing his research goals of studying European and Georgian Modernism. In his study, he applies to German philosophical and poetical tradition in order to interpret not only some classical texts by German authors but also those by Georgian Modernists. While re-assessing the legacy of Georgian Modernism, he sees it as an inalienable, though unique part of European Modernism. This scholarly position is proved in the book through a very thorough analysis and innovative interpretation of some important literary texts, and of some major aesthetical principles and cultural priorities tracked by Georgian Modernists.

The book is, definitely, an important contribution to contemporary Georgian literary studies, and it’s agenda of reconnecting with the legacy of European and Georgian Modernism, which have been neglected and banned in Georgia in the recent Soviet past.